ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3959609

ნომერი: AR1596549

თარიღი : 30.04.2018

გაცემის თარიღი : 14.05.2018

გაცნობის თარიღი : 14.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ.05/107;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავითი მაჭარაშვილი პ/ნ 01019058902
- თბილისი თემქა XI მ/რ III კვ. კორ. 50 ბ. 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში,სექტორი ჩუღურეთი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ.05/107), შპს "რივერსაიდ პლაზა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N005/107) ,არსებული შენობის სახურავზე შპს ''ჯეოსელი''-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ფუნქციონირების მიზნით ანტენების მონტაჟის განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რეგისტრაციის N 892018135633 საკადასტრო კოდი N 01.16.01.005.107, სანიტარული პასპორტი, სანიტარული დაცვის ზონის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის პროექტიზე შესაბამისი ჰიგიენური დასკვნა, ქირავნობის ხელშეკრულება, მინდობილობა ,არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, ანტენების განთავსების სქემა და ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში,სექტორი ჩუღურეთი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ.05/107), შპს "რივერსაიდ პლაზა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N005/107) ,არსებული შენობის სახურავზე შპს ''ჯეოსელი''-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ფუნქციონირების მიზნით ანტენების მონტაჟის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ

_ ანტენის და დანადგარის მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსსტრუქციული მდგრადობა. გათვალისწინებული და დაცული იქნას ს/ს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამედიცინო-კვლევითი ინსტიტუტის "მე-10 პუნქტში მითითებული რეკომენდაციები;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.